EAST EUROPEAN UNIVERSITY

EEU

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

დამტკიცებულია: *რექტორის 2021 წლის 18 იანვრის №01/01-01 ბრძანებით*

განახლებულია: *რექტორის 2026 წლის 15 იანვრის №02/01-01 ბრძანებით*

შინაარსი

პირველი თავი: ზოგადი დებულებები
მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3
მეორე თავი: სტუდენტის სტატუსის მოპოვება
მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საბაკალავრო/ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე 3
მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის მოპოვება სამაგისტრო საფეხურზე 7
მუხლი 4. სტუდენტის სტატუსის მოპოვება სადოქტორო საფეხურზე 12
მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის მოპოვება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 13
მესამე თავი: სტუდენტის რეგისტრაცია
მუხლი 6. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია 14
მეოთხე თავი: სტუდენტის დატვირთვა და შეფასება
მუხლი 7. სტუდენტის დატვირთვა და მისი მიღწევების შეფასება 15
მუხლი 8. საშუალო შეწონილი ქულა (Grand Point Average - GPA) 20
მეხუთე თავი: სტუდენტის სტატუსი
მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის შეჩერება 21
მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის აღდგენა 23
მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა 24
მუხლი 12. დამატებით სემესტრში რეგისტრაცია 25
მეექვსე თავი: სტუდენტის მობილობა
მუხლი 13. მობილობის უფლების მქონე პირი 26
მუხლი 14. მობილობის პროცესის ადმინისტრირება 27
მუხლი 15. შიდა მობილობა 29
მეშვიდე თავი: გაცვლითი პროგრამა და განათლების აღიარება
მუხლი 16. გაცვლითი პროგრამა 30
მუხლი 17. მიღებული განათლების აღიარება 32
მერვე თავი: სტუდენტის უფლება-მოვალეობები
მუხლი 18. სტუდენტის უფლებები 33
მუხლი 19. სტუდენტის მოვალეობები 34
მეცხრე თავი: საგანამანათლებლო პროგრამის დასრულება
მუხლი 20. პროგრამის დასრულება და კვალიფიკაციის მინიჭება 35
მეათე თავი:
მუხლი 21. დასკვნითი დებულებები 36
დანართი №1: *გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები*

პირველი თავი: ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი) სასწავლო პროცესს წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებაე წესისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;
2. ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი'' აწესრიგებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, სტუდენტთა მიღწევების შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხებსა და პროცედურებს, ასევე სტუდენტთა უფლება-მოვალეობებსა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მეორე თავი: სტუდენტის სტატუსის მოპოვება

მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საბაკალავრო/ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე

1. ***სტუდენტის სტატუსის მოპოვება საბაკალავრო/ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე:***

1.1. საბაკალავრო/ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და წინამდებარე წესის შესაბამისად. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია განხორციელდეს, აგრეთვე, მობილობის წესით ჩარიცხვის გზით.

1.2. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გზით უნივერსიტეტის საბაკალავრო/ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი. ასევე, სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის შემთხვევაში სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამდასტურებელი დოკუმენტი და პირს, რომელიც უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე. რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე სტუდენტთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

1.3. უფლებამოსილი პირი ვალდებულია, სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში რეგისტრაციისათვის მიმართოს უნივერსიტეტს და წარადგინოს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტები.

1.4. აბიტურიენტთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები;

1.5. უნივერსიტეტში აბიტურიენტის ჩარიცხვა ფორმდება საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის ერთიანი აქტით, რომელიც გამოიცემა არაუგვიანეს პირველი ოქტომბრისა და იგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში.

1.6. ის პირი, რომელიც შესულია რანჟირების დოკუმენტში, მაგრამ ვერ მოხვდა ამ მუხლის 1.5. პუნქტით გათვალისწინებულ რექტორის ერთიან აქტში დადგენილ ვადაში დაწესებულებისთვის არმიმართვის გამო, უფლებამოსილია, მიმართოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის ივნისამდე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი ვალდებულია, პირის მიერ უნივერსიტეტში ჩარიცხვისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა და გამოსცეს ბრძანება ჩარიცხვის შესახებ ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რექტორის აქტი იგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში გამოცემიდან 15 დღის ვადაში. ამ გზით პირის ჩარიცხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამორიცხავს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.

2. ***სტუდენტის სტატუსის მოპოვება საბაკალავრო/ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე:***

2.1. საბაკალავრო/ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე პირთა დაწესებულებაში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

2.2. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ სწავლების ერთი სემესტრის განმავლობაში არანაკლებ 75 დღისა და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (გარდა, დისტანციური ფორმით გავლილი იმ პროგრამისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ არის საქართველოში აღიარებული); აღნიშნული პირები საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში);

2.3. სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველი პირი ვალდებულია, უნივერსიტეტს მიმართოს და წარადგინოს შესაბამისი საბუთები:

ა) განცხადება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორის სახელზე;

ბ) პირადობის/ბინადრობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში პასპორტის ასლი ქართულად თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული;

გ) არასრულწლოვანების შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის/მშობლის პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი (რეგისტრაცია ხორციელდება კანონიერ წარმომადგენელთან ერთად);

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი/სამხედრო ბილეთი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული საქართველოს მოქალაქეებისთვის);

ე) უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი / უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტი თარგმნილი ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიულად;

ვ) ფოტოსურათი 3X4 ფორმატის - ელექტრონული ვერსია;

თ) მინდობილი პირის მიერ დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში - მინდობილობა;

2.4. უცხო ქვეყანაში, ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემთხვევაში, დგინდება გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისობა პირის მიერ არჩეული პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო კურსებთან;

2.5. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველ პირთა სწავლების ენის ფლობის კომპეტენციის დადგენის მიზნით, პირი ვალდებულია, დაადასტუროს შესაბამისი ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობა;

2.6. ინგლისურენოვან საგანამანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველმა პირმა ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობა უნდა დაადასტუროს:

ა) ენის ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების მიხედვით (CEFR) ინგლისური ენის შესაბამისი დონის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატით;

ბ)შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატით (CERTUS) ;

გ) ზოგადი და/ან უმაღლესი განათლების საფეხურზე ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურ ენაზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტით;

დ) უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის გამოცდით;

2.7. ქართულენოვან საგანამანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველმა პირმა, რომლისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა, ქართული ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობა უნდა დაადასტუროს:

ა)შესაბამისი დამადასტურებელი სერტიფიკატით;

ბ)ზოგადი და/ან უმაღლესი განათლების საფეხურზე ბოლო 2 წლის განმავლობაში ქართულ ენაზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტით;

გ) უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ქართული ენის გამოცდით;

2.8. ამოღებულია. *რექტორის 2023 წლის 11 აგვისტოს №30/01-01 ბრძანებით*

2.9. უნივერსიტეტში ვაკანტური ადგილების არსებობისა და პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ენის არანაკლებ B1 დონეზე ცოდნის დადასტურების შემთხვევაში, უნივერსიტეტის რექტორი გასცემს წერილობით თანხმობას სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე, სახელის, გვარის, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებისა და კოდის მითითებით, ასევე ინფორმაციას პირის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დადასტურების შესახებ.

2.10. რექტორის მიერ გაცემულ წერილობით თანხმობას, შესაბამის დოკუმენტებთან ერთად პირი წარადგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;

2.11. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი, პირის მიერ მიღებული განათლების აღიარების შესახებ, წარედგინება უნივერსიტეტს;

2.12. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი ვალდებულია, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე საქართველოს მოქალაქეების შემთხვევაში და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების/მოქალაქეობის არმქონე პირების შემთხვევაში მოახდინოს ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/სტუდენტების ჩარიცხვა ერთი წლის ვადაში ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის აქტი აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

რექტორის 2023 წლის 11 აგვისტოს №30/01-01 ბრძანება
რექტორის 2024 წლის 27 მაისის №11/01-01 ბრძანება
რექტორის 2024 წლის 09 აგვისტოს №15/01-01 ბრძანება
რექტორის 2025 წლის 06 თებერვლის №02/01-01 ბრძანება

მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის მოპოვება სამაგისტრო საფეხურზე

1. ***სტუდენტის სტატუსის მოპოვება სამაგისტრო საფეხურზე საერთო სამაგისტრო გამოცდის საფუძველზე***

1.1. აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე – სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებისა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის/გამოცდების შედეგების საფუძვლეზე. ასევე, (ცალკეულ პროგრამებზე დაშვების შესაბამისი წინაპირობის არსებობის შემთხვევაში) დაშვების სხვა წინაპირობების დაკმაყოფილების/წარმატებით გადალახვის შემთხვევაში. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება, ასევე შესაძლებელია მობილობის გზით.

1.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უნივერსიტეტის რექტორის აქტით განსაზღვრული წესით დადგენილ ვადაში.

1.3. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის აქტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

1.4. უნივერსიტეტი მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის აქტს და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული მისაღები გამოცდის/გამოცდების შედეგებს აქვეყნებს მის ოფიციალურ ვებგვერდზე. ასევე შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საგამოცდო თემატიკა, ტესტის ნიმუშები, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები გონივრული ვადით ადრე ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

1.5. სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ორგანიზების, საპრეტენზიო განცხადებების წარდგენის ვადები და საპრეტენზიო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის აქტით.

1.6. საპრეტენზიო საბჭო არ შეიძლება, შედგებოდეს იმ პირებისაგან, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მაგისტრანტობის კანდიდატების შეფასებაში;

1.7. თუ საგანმანათლებლო პროგრამით პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დადგენილია უცხო ენის განსაზღვრული დონე, შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის დადასტურება შესაძლებელია როგორც შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით, ასევე ზოგადევროპული კომპეტენციების მიხედვით (CEFR) ინგლისური ენის შესაბამისი დონის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატის (CERTUS) წარმოდგენით ან ბოლო 2 წლის განმავლობაში შესაბამისენოვან უმაღლეს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლით, რაც ათავისუფლებს სტუდენტს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარებისგან.

1.8. უნივერსიტეტში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება რანჟირებული ქულის შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

1.9. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მომენტისთვის არ გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობის საფუძველზე შეიძლება ჩაირიცხოს მაგისტრატურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ პირობით, რომ ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის დასრულებამდე უნივერსიტეტში წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს.

1.10. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ამ მუხლის 1.8 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე, დგება რექტორის ერთიანი აქტი, რექტორის ერთიან აქტში მიეთითება მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულება სამაგისტრო გამოცდის წლის 5 ოქტომბრამდე სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ასახავს ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ დადგენილი წესის შესაბამისად.

1.11. სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები დამატებითი მოთხოვნები და პროცედურები შესაძლოა განისაზღვროს/დაზუსტდეს ,,მაგისტრატურის მინიმალური სტანდარტით", შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამითა და რექტორის აქტით.

2. ***სტუდენტის სტატუსის მოპოვება სამაგისტრო საფეხურზე საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე***

2.1 სამაგისტრო პროგრამებზე საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე პირთა დაწესებულებაში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

2.2 საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლების ერთი სემესტრის განმავლობაში არანაკლებ 75 დღისა ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში (გარდა დისტანციური ფორმით გავლილი იმ პროგრამისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ არის საქართველოში აღიარებული);

დ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების შესაბამისად.

ე) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ

საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2.3 სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად პირი ვალდებულია, მიმართოს უნივერსიტეტს და წარადგინოს შესაბამისი საბუთები:

ა) განცხადება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორის სახელზე;

ბ)პირადობის/ბინადრობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში პასპორტის ასლი ქართულად თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული;

გ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი/სამხედრო ბილეთი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული საქართველოს მოქალაქეებისთვის);

დ) უცხო ქვეყანაში მიღებული უმაღლესი ან მისი ეკვივალენტური განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი / უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრატურაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტი თარგმნილი ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიულად;

ე) ფოტოსურათი 3X4 ფორმატის - ელექტრონული ვერსია;

-ზ) მინდობილი პირის მიერ დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში - მინდობილობა;

2.4. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, სტუდენტის სტატუსის მოპოვების მიზნით, ვალდებულია, ჩააბაროს უნივერსიტეტში შესაბამისი სამაგისტრო პროგრამისთვის განსაზღვრული მისაღები შიდა გამოცდა/გამოცდები;

2.5. უცხო ქვეყანაში, ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამაგისტრო საფეხურზე მიღებული კრედიტების დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემთხვევაში, დგინდება გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისობა პირის მიერ არჩეული პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო კურსებთან;

2.6. საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველი პირი ვალდებულია, დაადასტუროს პროგრამისთვის განსაზღვრული სწავლების ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობა;

2.7. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დადგენილი უცხო ენის განსაზღვრული დონის (არანაკლებ B1) ენობრივი კომპეტენციის დადასტურება შესაძლებელია როგორც შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით, ასევე უცხო ენის შესაბამისი დონის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატით (ინგლისური ენის შემთხვევაში ზოგადევროპული კომპეტენციების მიხედვით (CEFR) ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატის (CERTUS) წარმოდგენით ან ბოლო 2 წლის განმავლობაში შესაბამის ენაზე უმაღლეს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლით.

2.8. ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველმა მაგისტრანტობის კანდიდატმა, რომლისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა, ქართული ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობა უნდა დაადასტუროს:

ა) შესაბამისი დამადასტურებელი სერტიფიკატით;

ბ) უმაღლესი განათლების საფეხურზე ბოლო 2 წლის განმავლობაში ქართულ ენაზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტით;

გ)უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ქართული ენის გამოცდით;

2.9. უნივერსიტეტში ვაკანტური ადგილების არსებობის, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების წარმატებით გავლისა პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ენის არანაკლებ B1 დონის დადასტურების შემთხვევაში, უნივერსიტეტის რექტორი გასცემს წერილობით თანხმობას სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე, სახელის, გვარის, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებისა და კოდის მითითებით, ასევე ინფორმაციას პირის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დადასტურების შესახებ.

2.10. რექტორის მიერ გაცემულ წერილობით თანხმობას, შესაბამის დოკუმენტებთან ერთად პირი წარადგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;

2.11. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი, პირის მიერ მიღებული განათლების აღიარების შესახებ, წარედგინება უნივერსიტეტს;

2.12. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი ვალდებულია, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე საქართველოს მოქალაქეების შემთხვევაში და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების/მოქალაქეობის არმქონე პირების შემთხვევაში მოახდინოს საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/სტუდენტების ჩარიცხვა ერთი წლის ვადაში ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის აქტი აისახება ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

2.13. სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები დამატებითი მოთხოვნები და პროცედურები შესაძლოა განისაზღვროს/დაზუსტდეს ,,მაგისტრატურის მინიმალური სტანდარტით'' შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამითა და რექტორის აქტით.

რექტორის 2023 წლის 11 აგვისტოს №30/01-01 ბრძანება

რექტორის 2024 წლის 27 მაისის №11/01-01 გრძანება
რექტორის 2024 წლის 09 აგვისტოს №15/01-01 გრძანება
რექტორის 2025 წლის 06 თებერვლის №02/01-01 გრძანება

მუხლი 4. სტუდენტის სტატუსის მოპოვება სადოქტორო საფეხურზე

1. აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე – სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას.
2. სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად შეიძლება განისაზღვროს წინარე განათლება და/ან შესაბამის სფეროში სამუშაო გამოცდილება.
3. დოქტორანტობის კანდიდატს, რომელსაც ქართულენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სურს სწავლის გაგრძელება მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნა, რაც შეიძლება დადასტურდეს ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატით CERTUS) ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელი დიპლომით ან ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის განმსაზღვრელი შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებით.
4. დოქტორანტობის კანდიდატს, რომელსაც ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სურს სწავლის გაგრძელება მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ C1 დონის ცოდნა, რაც შეიძლება დადასტურდეს ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ C1 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატით (CERTUS) ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი კადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელი დიპლომით ან ინგლისური ენის C1 დონის ცოდნის განმსაზღვრელი შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებით.
5. დოქტორანტობის კანდიდატს, რომელსაც ქართულენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სურს სწავლის გაგრძელება და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, ასევე მოეთხოვება ქართული ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნა, რაც შეიძლება დადასტურდეს ქართული ენის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატით ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ქართულენოვანი კადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა)

დასრულების დამადასტურებელი დიპლომით ან ქართული ენის B2 დონის ცოდნის განმსაზღვრელი შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებით.

6. კანდიდატი, რომელიც შიდასაუნივერსიტეტო ტესტირების შედეგებით ვერ გადალახავს ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. შიდასაუნივერსიტეტო ტესტირების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უნდა იყოს წინასწარ დამტკიცებული, საჯარო და ხელმისაწვდომი.
7. უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი დოქტორანტი უნდა აკმაყოფილებდეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს.
8. უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს, ასევე, უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში, დოქტორანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უნივერსიტეტის რექტორის აქტით განსაზღვრული წესით დადგენილ ვადაში.
10. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველი კანდიდატები მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და ენის ფლობის კომპეტენციის დადასტურების შემდეგ გაივლიან გასაუბრებას ფაკულტეტის მიმღებ დარგობრივ კომისიასთან.
11. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე ფაკულტეტის მიმღები დარგობრივი კომისიის შუამდგომლობით სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ. მიმღები დარგობრივი კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ფაკულტეტის დეკანი წარუდგენს რექტორს ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემის მიზნით;
12. სადოქტორო პროგრამებზე მისაღები მოთხოვნები და პროცედურები შესაძლოა განისაზღვროს/დაზუსტდეს ,,დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით“, შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამითა და რექტორის აქტით.

რექტორის 2024 წლის 27 მაისის №11/01-01 ბრძანება

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის მოპოვება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირებს, რომლებიც ჩააბარებენ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ საგნის/საგნობრივი ჯგუფის გამოცდასა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდას/გამოცდებს;

2. პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებიც უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების შედეგების საფუძველზე მოხვდებიან რანჟირების დოკუმენტში;
3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის ჩარიცხვა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების საკითხი რეგულირდება ,,მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესის" შესაბამისად;

მესამე თავი: სტუდენტის რეგისტრაცია

მუხლი 6. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1. სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლების მოპოვების მიზნით, სტუდენტმა უნდა გაიაროს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია ყოველი სემესტრის დაწყებამდე.
2. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში.
3. ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ სწავლების სემესტრული საფასურის დადგენილ ვადებში სრულად გადახდას.
4. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (EEU-EL) საკუთარ გვერდზე შეთავაზებულ სასწავლო კურსებზე არჩევანის გაკეთებას ან ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ სტუდენტის სასწავლო ბაზაში სასწავლო კურსების დაფიქსირებას. სტუდენტს, რომელსაც არ აქვს გავლილი ადმინისტრაციული რეგისტრაცია არ აქვს აკადემიური რეგისტრაციის გავლის უფლება.
5. თუ სტუდენტმა დადგენილ ვადებში ვერ გადაიხადა სწავლის სემესტრული საფასური, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია ინდივიდუალური გადახდის გრაფიკის შემუშავებით.
6. თუ სტუდენტი დაარღვევს ადმინისტრაციასთან შეთანხმებულ ინდივიდუალური გადახდის გრაფიკს, დაეკისრება პირგასამტეხლო 20 ლარის ოდენობით და საურავი გადასახდელი თანხის 0,05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
7. თუ სტუდენტს გავლილი აქვს ადმინისტრაციული რეგისტრაცია და არ გაიარა აკადემიური რეგისტრაცია, უფლება აქვს გადახდილი თანხა გამოიყენოს მომდევნო სემესტრში/სემესტრებში, რისთვისაც განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტს.
8. ფაკულტეტები ვალდებულნი არიან, სტუდენტებს სასწავლო კურსებზე შესაბამისი არჩევანის გაკეთების მიზნით, შესთავაზონ საგანმანათლებლო პროგრამიდან გამომდინარე, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გეგმა, რომელიც განთავსდება შესაბამის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (EEU-EL) და სტუდენტს აქვს მისი ხედვის საშუალება.

9. სტუდენტს სასწავლო გეგმა შეეთავაზება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, ხოლო თუ სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულია მობილობის გზით ან მისი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე (აკადემიური ჩამორჩენა და ა. შ.), უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი უზრუნველყოფს მისთვის ხელსაყრელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეთავაზებას, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობების გათვალისწინებით.
10. თუ სტუდენტი სარგებლობს სახელმწიფო დაფინანსებით და მის ანგარიშზე სრულად ჩამოირიცხა სახელმწიფო გრანტი, ხოლო სტუდენტი აკადემიურ რეგისტრაციას გადის 30-ზე ნაკლებ კრედიტზე, სტუდენტს უნარჩუნდება გრანტის სახით მიღებული დარჩენილი კრედიტების რაოდენობის ღირებულება და შეუძლია მისი გამოყენება პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ვადის განმავლობაში.
11. პროგრამით გათვალისწინებულ ვადაში ასიმეტრიული დატვირთვის შემთხვევაში (მაგ. წლიური 60 კრედიტი ნაწილდება შემოდგომის სემესტრში 25, ხოლო გაზაფხულის სემესტრში 35 კრედიტი) სტუდენტი სწავლის საფასურს იხდის სტანდარტულად, სემესტრული გადასახადისათვის დადგენილი ოდენობით;

მეოთხე თავი: სტუდენტის დატვირთვა და შეფასება

მუხლი 7. სტუდენტის დატვირთვა და მისი მიღწევების შეფასება

1. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა – დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;
2. სტუდენტის სასწავლო დატვირთვის განსაზღვრისათვის გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სამუშაო მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში. ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას 25 საათის განმავლობაში, რომელიც აერთიანებს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ საათებს; საკონტაქტო საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო, ხოლო დამოუკიდებელი საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;
3. სტუდენტის სრული დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს;
4. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის

სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს;

5. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს.
6. მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დასაშვებია სწავლა-სწავლების პროცესის არასრული დატვირთვით განხორციელება. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი ნიშნავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შესაძლოა მოიცავდეს 30 (ECTS) კრედიტს;
7. კრედიტის დამატების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს დეკანს რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში;
8. დამატებითი კრედიტის დარეგისტრირების შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა გადაიხადოს დამატებითი კრედიტის საფასური;
9. ერთი კრედიტის ღირებულება ანგარიშდება ფორმულით: საგანმანათლებლო პროგრამის ღირებულება გაყოფილი პროგრამის მოცულობაზე (მაგ. 2250 ლარი/60 კრედიტზე).
10. კრედიტი განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტს შორის, როგორიცაა კონცენტრაცია, მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა და სხვა (გარდა სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა); სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.
11. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად;
12. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ სტუდენტის მაქსიმალურ შეფასება 100 ქულის ტოლია.
13. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

14. შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების კომპონენტები) მოიცავს შეფასების მეთოდებს ანუ სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებას/საშუალებებს (ზეპირი/წერითი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდის საზომი ერთეულია შეფასების კრიტერიუმი, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.
15. შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოსახული პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში;
16. დაუშვებელია დასკვნითი შეფასების 40 ქულაზე მეტითა და 30 ქულაზე ნაკლებით შეფასება, გარდა პროგრამის თავისებურებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
17. შეფასების თითოეულ კომპონენტში განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. შესაბამისი სფეროს უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ შემთხვევებში, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი შესაძლებელია აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში;
18. შუალედური გამოცდის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში სტუდენტს აქვს აღდგენის უფლება. არასაპატიო მიზეზით შუალედური გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მისი აღდგენის თხოვნით, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც სტუდენტს ეკისრება ვალდებულება გადაიხადოს არასაპატიო მიზეზით გაცდენილი შუალედური გამოცდის აღდგენის საფასური 50 ლარის ოდენობით

18.[1] დასკვნით გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს, აღდგენის მოთხოვნით მიმართოს უნივერსიტეტს საგამოცდო პერიოდის დასრულებამდე და წარადგინოს გამოცდაზე არგამოცხადების საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი. სტუდენტი გამოცდის აღდგენაზე დაიშვება წარმოდგენილი დოკუმენტის განხილვისა და დაკმაყოფილების შემთხვევაში. გამოცდის აღდგენის ვადას განსაზღვრავს უნივერსიტეტი.

19. საბაკალავრო, სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს დასკვნით შეფასებაზე გასვლის უფლება ეძლევათ თუ შუალედურ შეფასებაში მაქსიმალური 70 ქულის შემთხვევაში, დააგროვებენ არანაკლებ 26 ქულას, ხოლო მაქსიმალური 60 ქულის შემთხვევაში – არანაკლებ 21 ქულას, თუ

საგანმანათლებლო პროგრამით/კურსის სილაბუსით სხვა რამ არ არის განსაზღვრული (სასწავლო კურსის სილაბუსით, შესაძლოა, შუალედური შეფასების ფორმაში/ფორმებში დადგენილი იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი)

20. სადოქტორო და დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს დასკვნით შეფასებაზე გასვლის უფლება ეძლევათ თუ შუალედურ შეფასებაში მაქსიმალური 70 ქულის შემთხვევაში დააგროვებენ არანაკლებ 36 ქულას, ხოლო მაქსიმალური 60 ქულის შემთხვევაში – არანაკლებ 31 ქულას თუ საგანმანათლებლო პროგრამით/კურსის სილაბუსით სხვა რამ არ არის განსაზღვრული (სასწავლო კურსის სილაბუსით, შესაძლოა, შუალედური შეფასების ფორმაში/ფორმებში დადგენილი იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი)
21. დასკვნით შეფასებაზე დადებითი შეფასების მისაღებად სტუდენტმა მაქსიმალური შეფასების 30 ქულის შემთხვევაში უნდა დააგროვოს არანაკლებ 15 ქულისა, ხოლო მაქსიმალური 40 ქულის შემთხვევაში – არანაკლებ 20 ქულისა თუ საგანმანათლებლო პროგრამით/კურსის სილაბუსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი შესაბამის კომპონენტში ფასდება 0 ქულით.
22. დასკვნითი გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა, გარდა დარგის/სასწავლო კურსის სპეციფიკით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი, ასევე, შეიძლება, იყოს კომბინირებული და შეიცავდეს წერით და ზეპირ კომპონენტებს, ასეთ შემთხვევაში გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ თითოეულ კომპონენტში სტუდენტი მიიღებს ამ კომპონენტისთვის (წერა/ზეპირი) დადგენილ ქულათა არანაკლებ 50%-ს, თუ საგანმანათლებლო პროგრამით/კურსის სილაბუსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
23. სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (ნაშრომი) ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, საგნმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. მაგისტრანტს კვალიფიკაცია ენიჭება სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში მაქსიმალური 100 ქულიდან არანაკლებ 51 ქულის მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს დამაკმაყოფილებელი (rite) შეფასების მიღების შემთხვევაში.
24. სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.
25. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება თითოეულ შეფასების კომპონენტში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და ამ მუხლის 27-ე პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
26. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.
27. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

28. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტი კარგავს იმავე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

29. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, სპეციფიკის, აგრეთვე მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გათვალისწინებით, დაადგინოს ამ მუხლის 27-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისგან განსხვავებული მინიმალური დადებითი შეფასება, რომელიც არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი.

30. ამ მუხლის 27-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი „(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა“ შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. ძირითადი გამოცდის შედეგების გამოცხადებასა და დამატებითი გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა;

31. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა; დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში;

32. სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომის შეფასების საკითხები განისაზღვრება სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით.

33. კლინიკურ კურსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩატარების ვადები განისაზღვრება შესაბამისი კურსის სწავლების ხანგრძლივობიდან გამომდინარე, კლინიკური როტაციის შესაბამისად და განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსით.
34. უნივერსიტეტში შუალედური და დასკვნითი წერითი გამოცდები ტარდება ცენტრალიზებული სისტემით, „საგამოცდო ცენტრის დებულების“ და ,,გამოცდების ჩატარების წესის“ თანახმად.
35. მიღებული შეფასების აპელაციის პროცედურები განისაზღვრება ,,გამოცდის ჩატარების წესით'', ,,სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებითა'' და ,,მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესით''.

რექტორის 2022 წლის 30 დეკემბრის №24/01-01 გრძანება
რექტორის 2024 წლის 09 აგვისტოს №15/01-01 გრძანება
რექტორის 2025 წლის 25 თებერვალი №03/01-01 გრძანება
რექტორის 2026 წლის 15 იანვარი №02/01-01 გრძანება

მუხლი 8. საშუალო შეწონილი ქულა (Grand Point Average - GPA)

1. უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე აღნიშნული ქულების 4-ბალიანი ეკვივალენტით - საშუალო შეწონილი ქულით (GPA);
2. სტუდენტის მიერ მიღებულ ქულათა კრედიტებთან შეწონილი საშუალო სიდიდე (GPA) გამოითვლება ყოველი სემესტრის, ასევე, ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, შესაბამის პერიოდში მიღებული ყველა შეფასების საფუძველზე.
3. კრედიტებთან შეწონილი საშუალო ქულის (GPA) დასაანგარიშებლად, თავდაპირველად ხდება სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებების შესაბამისობის დადგენა GPA-სთან ცხრილში წარმოდგენილი პრინციპით:

100-ქულიანი შეფასებების 4 ქულიან შეფასებებზე გადაყვანის ცხრილი		
შეფასება	**ქულობრივი მაჩვენებელი**	**GPA**
A	91-100	**4.00**
B	81-90	**3.00**

C	71-80	**2.00**
D	61- 70	**1,00**
E	51-60	**0.50**
F-Fx	0-50	**0.00**

4. სარეიტინგო მონაცემების მისაღებად გამოითვლება სტუდენტთა **სემესტრული GPA**, როდესაც დაჯამდება უარყოფითი შეფასებაც; სემესტრული GPA გამოითვლება ფორმულით: GPA (სემესტრული) = (Σ თითოეული სასწავლო კურსის GPA x შესაბამის კრედიტზე)/ სემესტრში რეგისტრირებული სასწავლო კურსის კრედიტების ჯამზე);
5. სტუდენტების **შემაჯამებელი/საბოლოო საშუალი შეწონილი ქულის** გამოთვლის დროს სტუდენტის მიერ თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული შეფასების საშუალო ქულა (GPA) მრავლდება ამ კურსის კრედიტების რაოდენობაზე და მიღებულ ნამრავლთა ჯამი იყოფა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების საერთო რაოდენობაზე. შემაჯამებელი GPA გამოითვლება ფორმულით: GPA (შემაჯამებელი) = (Σ თითოეული სასწავლო კურსის GPA x შესაბამის კრედიტზე)/საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების საერთო რაოდენობაზე);
6. იმ შემთხვევაში თუ კურსდამთავრებულის GPA (შემაჯამებელი) არის არანაკლებ 3,5 - გაიცემა დიპლომი - წარჩინებით; სხვა შემთხვევაში - დიპლომი ჩვეულებრივი.

რექტორის 2022 წლის 30 დეკემბრის №24/01-01 ბრძანება

მეხუთე თავი: სტუდენტის სტატუსი

მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობისგან დროებით განთავისუფლება და უნივერსიტეტისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების მოქმედების შეჩერება სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
2. სტატუსის შეჩერების განმავლობაში ჩერდება უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების მოქმედება და მხარეები სტატუსის შეჩერების დროით თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვალდებულება

წარმოშობილია სტატუსის შეჩერებამდე (ფინანსური ვალდებულება უნივერსიტეტის წინაშე, უნივერსიტეტის მატერიალური ქონების ფლობა და ა. შ.).

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“, სხვა საკანონმდებლო აქტების, წინამდებარე წესის, უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებისა და საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად.

4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:
   ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
   ბ) ადმინისტრაციული რეგისტრაციის დადგენილ ვადაში გაუვლელობა;
   გ) აკადემიური რეგისტრაციის დადგენილ ვადაში გაუვლელობა;
   დ) ფინანსური დავალიანება/ფინანსური შეთანხმების დარღვევა;
   ე) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისა);
   ვ) აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში სასწავლო კომპონენტის სულ მცირე ერთ კომპონენტში შეფასების არმიღება ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის/მოქალაქეობის არმქონე პირთათვის.
   ზ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
   თ) მოქმედი კანონმდებლობით, ,,დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით“, ,,სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“, ,,პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესით“ და საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა გარემოებები;“

5. სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტი უფლებამოსილია, განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) კვირის განმავლობაში.

6. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტს სწავლის გადახდილი საფასური არ უბრუნდება. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლამდე სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, იგი სარგებლობს გადახდილი საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებით.

7. სასწავლო პროცესის დაწყებიდან 4 (ოთხი) კვირის გასვლის შემდეგ, სტუდენტი კარგავს მე-4 პუნქტის ,,ა“ „ე“ ,,ზ“ ქვეპუნქტების საფუძველზე სტატუსის შეჩერებისა და/ან გადახდილი საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას, გარდა ჯანმრთელობის გაუარესების ისეთი შემთხვევისა, რის გამოც იგი ვერ შეძლებს უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურების მიღებას.

7[1]. მე-4 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს თანხის დაბრუნების ან მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას.

7[2]. მე-4 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტს უნარჩუნდება სემესტრული სწავლის საფასურის გადახდილი ნაწილი;

8. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება, რომელიც გამოცემიდან 5 დღის ვადაში აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომში – სისტემა) სისტემის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

9. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა ჯამში 5 წელი. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტს შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.

რექტორის 2023 წლის 11 აგვისტოს №30/01-01 ბრძანება
რექტორის 2024 წლის 09 აგვისტოს №15/01-01 ბრძანება
რექტორის 2025 წლის 16 დეკემბრის №30/01-01 ბრძანება

მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. წინამდებარე დებულების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა“ ,,გ“ ,,ე“ ,,ზ“ ქვეპუნქტებით დადგენილი გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია, პირადი განცხადებით აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი;
2. მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ბ“და ,,ვ“ ქვეპუნქტების, საფუძველზე სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტს სტატუსი აღუდგება პირადი განცხადების გარეშე, დადგენილ ვადებში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის (სწავლის საფასურის უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის) შემთხვევაში;
3. მე - 9 მუხლის მე-4 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, (ფინანსური დავალიანება/ფინანსური შეთანხმების დარღვევა) საფუძველზე სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია, შეჩერებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში დარჩენილი საფასურის სრულად დაფარვის შემთხვევაში ან მომდევნო სემესტრიდან, ადმინისტრაციული რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში სემესტრული საფასურის დარჩენილი ნაწილის გადახდის შემთხვევაში;
4. სტუდენტის შეჩერებული სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე აკადემიური პროგრამის ფარგლებში, იმავე პირობებით;

5. სტუდენტის შეჩერებული სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს სტატუსის აღდგენიდან ხუთი დღის ვადაში სისტემაში შესაბამისი მონაცემების ასახვას;
6. სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტს უნარჩუნდება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები;

რექტორის 2025 წლის 16 დეკემბრის №30/01-01 ბრძანება

მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:
   ა) პირადი განცხადება;
   ბ) ჯამში 5 წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;
   გ) ერთი და იმავე სავალდებულო სტატუსის სასწავლო კურსში სამჯერ უარყოფითი საბოლოო შეფასების მიღების გამო კრედიტის ვერ მოპოვება.
   დ) დაწესებულებისთვის ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა, რომელმაც გავლენა იქონია ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე;
   ე) ქცევის (ეთიკის) კოდექსით დადგენილი უხეში დარღვევა, რაც დასტურდება ამავე კოდექსით დადგენილი დისციპლინური/ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით;
   ვ) სწავლების ხანგრძლივობის დამატებითი ვადის გასვლა პროგრამის დასრულების გარეშე – აკადემიური ჩამორჩენა;
   ზ) მობილობის წესით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;
   თ) გარდაცვალება ან კანონმდებლობით დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადება;
   ი) ,,დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით“, ,,სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“, ,,პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესით“ გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;

1[1]. იმ სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის, რომლებსაც სტატუსი შეჩერებული აქვთ 2024 წლის 1-ელი მარტის მდგომარეობით, ამ წესის მე-11 მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის შეჩერების ჯამური 5-წლიანი ვადის ათვლა დაიწყოს 2024 წლის პირველი მარტიდან.

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იმავდროულად გულისხმობს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების ვადამდე შეწყვეტას.

3. სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, გადახდილი სწავლის საფასური წარმოადგენს პირგასამტეხლოს და სტუდენტს არ უბრუნდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სტუდენტს სტატუსი შეუწყდა პირადი განცხადებით იმ მიზეზით, რომ უარი ეთქვა საქართველოს ვიზის გაცემაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივნისის №280 დადგენილებით

დამტკიცებული „საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „ვ“, „ზ“ „თ“ ან „კ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ან საქართველოს საზღვარზე ეთქვა უარი ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლაზე, ანდა სხვა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით რომელიც შეუძლებელს ხდის სტუდენტის საქართველოში შემოსვლას/ვიზის აღებას. ამ შემთხვევაში სტუდენტმა სტატუსის შეწყვეტისა და თანხის დაბრუნების მოთხოვნით უნივერსიტეტში უნდა წამოადგინოს სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება, რომელსაც უნდა ერთვოდეს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ ვიზის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, ან ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლაზე უარის თქმის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება, რომელიც გამოცემიდან 5 დღის ვადაში აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ (გარდა ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“და ,,თ" ქვეპუნქტების საფუძველზე სტატუსის შეწყვეტის შემთხვევებისა). დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემის შემდეგ იგი უფლებამოსილია უნივერსიტეტიდან მოთხოვნის საფუძველზე გონივრულ ვადაში მიიღოს მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია.

7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რექტორის 2024 წლის 20 მარტის №02/01-01 ბრძანება
რექტორის 2025 წლის 16 დეკემბრის № 30/01-01 ბრძანება

მუხლი 12. დამატებით სემესტრში რეგისტრაცია

1. სტუდენტს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილ ვადებში ვერ დაასრულებს პროგრამას და ვერ მოიპოვებს შესაბამის კვალიფიკაციას, უფლება აქვს, თვითდაფინანსებით განაგრძოს სწავლა მომდევნო ოთხი სემესტრის მანძილზე ბაკალავრიატში, მაგისტრატურაში ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. დოქტორანტის დამატებით სემესტრში რეგისტრაციის საკითხი რეგულირდება “დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტითა’’ და “სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით’’

3. დამატებით სემესტრში სტუდენტისთვის რეგისტრირებული კრედიტების მოცულობა განისაზღვრება სრული სემესტრული დატვირთვით (არანაკლებ 30 კრედიტისა), გარდა იმ შემთხვევისა, თუ პროგრამით განსაზღვრული წინაპირობების ან პროგრამის სტრუქტურის გათვალისწინებით შეუძლებელია სასწავლო კურსის/კურსების შეთავაზება ან სტუდენტის მიერ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა სრული სემესტრული დატვირთვის კრედიტების რაოდენობაზე (30 კრედიტი) ნაკლებია.
4. დამატებით სემესტრში რეგისტრირებული სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება: ასათვისებელი/რეგისტრირებული სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობის შესაბამისად;
5. დამატებით სემესტრში დარეგისტრირების მოთხოვნით, სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს დეკანს რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში.

რექტორის 2025 წლის 06 თებერვლის №02/01-01 ბრძანება
რექტორის 2025 წლის 16 დეკემბრის №30/01-01 ბრძანება

მეექვსე თავი: სტუდენტის მობილობა

მუხლი 13. მობილობის უფლების მქონე პირი

1. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისთვის არის დაწესებულების სტუდენტი.
2. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელმაც მოიპოვა სტუდენტის სტატუსი კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა, ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისთვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც საქართველოს განათლებისა და, მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართა, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ.
4. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.

5. მაგისტრატურის სტუდენტს, რომელსაც საერთო სამაგისტრო გამოცდა ჩაბარებული აქვს 2015-2019 წლებში, მობილობისა და/ან შიდა მობილობის უფლება წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.
6. მობილობაში/შიდა მობილობაში მონაწილე სტუდენტი, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ, ვალდებულია, აკმაყოფილებდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობას და ჩაბარებული ჰქონდეს ის საგანი/საგნები, რომლებიც განსაზღვრული აქვს უნივერსიტეტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 ან/და მე-8 პუნქტების შესაბამისად.
7. თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად.
8. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში (ამ პუნქტის მიზნებისათვის დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებად);
9. დაუშვებელია მობილობა პროფესიული განათლების პროგრამიდან აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 15 აპრილის ბრძანება №12/01-01

მუხლი 14. მობილობის პროცესის ადმინისტრირება

1. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტი რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის საფუძველზე, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოფს მობილობის მსურველ პირთა ადგილების–განსაზღვრული ფორმით რეგისტრაციას.
2. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განისაზღვრება მობილობის მსურველის მიერ დაწესებულებაში წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, ვადები, კრედიტების აღიარების კომისიის შემადგენლობა და საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისთვის აუცილებელი წინაპირობები (საჭიროების შემთხვევაში), რაც გულისხმობს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენას. წინაპირობები განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ და წარედგინება შესაბამის ფაკულტეტს, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს

აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებას სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტისთვის.

3. უნივერსიტეტი, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია მობილობის მსურველს გაუგზავნოს დასაბუთებული მოთხოვნა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის თაობაზე.
4. კრედიტების აღიარების კომისია ადგენს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას, რისთვისაც ამოწმებს სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამასთან, სტუდენტის ჩარიცხვის კანონიერების საკითხს, გავლილი პროგრამის აღიარების შესაძლებლობის საკითხს, სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას მიმღები პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან (არსებობის შემთხვევაში) და ამზადებს დასკვნას მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე.
5. კრედიტების აღიარება ფორმდება კრედიტების აღიარების კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით/დასკვნით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა. აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.
7. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით. კომისია უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.
8. მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე მიმღები დაწესებულება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახავს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს და მასთან დაკავშირებულ ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგნილი ფორმის შესაბამისად, რის შემდეგაც განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ამოწმებს დაწესებულების ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას მოთხოვნებთან, და გასცემს ელექტრონულ დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უფლებამოსილია, გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაციაც;

9. ბრძანების პროექტზე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ, გამოიცემა რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ 1-ელ ოქტომბრამდე შემოდგომის და 1-ელ მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და სამი სამუშაო დღის ვადაში იგზავნება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
10. უნივერსიტეტიდან მობილობის გზით გადასულ სტუდენტს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შემდეგ უნივერსიტეტის რექტორის აქტით უწყდება სტუდენტის სტატუსი, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირის ვადაში გაიცემა სტუდენტის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია, მოთხოვნისამებრ.
11. მობილობის მსურველი, რომელიც უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით მას ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
12. მობილობით სარგებლობის შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას წარედგინება 7 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 7 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში.

უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 3 აპრილის ბრძანება №15/01-01

მუხლი 15. შიდა მობილობა

1. შიდა მობილობა გულისხმობს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლას უნივერსიტეტის შიგნით აკადემიური განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.
2. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, პროცედურა და ვადები მტკიცდება რექტორის ბრძანებით.
3. შიდა მობილობის მსურველი სტუდენტის განცხადების საფუძველზე განიხილება სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თავსებადობის საკითხი და აღიარების კომისია „მიღებული განათლების აღიარების წესის“ შესაბამისად, შეიმუშავებს შესაბამის დასკვნას.
4. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი, სტუდენტთან შეთანხმებით, ადგენს მოცემული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გონივრულ ვადაში მისაღწევად საჭირო ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი

თანახმაა, სწავლა განაგრძოს შეთავაზებული პირობებით, შიდა მობილობა ფორმდება რექტორის სამართლებრივი აქტით და მონაცემები 5 დღის ვადაში აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

5. შიდა მობილობის განხორციელების შემთხვევაში აღიარების კომისია ვალდებულია, შეამოწმოს სტუდენტის მონაცემების შესაბამისობა მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან.

6. სტუდენტის შიდა მობილობით სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანა ფორმდება რექტორის აქტით.

უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 15 აპრილის ბრძანება №12/01-01

მეშვიდე თავი: გაცვლითი პროგრამა და განათლების აღიარება

მუხლი 16. გაცვლითი პროგრამა

1. გაცვლითი პროგრამა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის პერიოდში სწავლა/კვლევა განახორციელოს პარტნიორ უნივერსიტეტში;
2. გაცვლითი პროგრამა ხორციელდება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტსა და სხვა ქვეყნის უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული საპარტნიორო ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც ფორმდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიღებული წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე;

3. გაცვლით პროგრამაში მონაწილე აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტი

3.1. უნივერსიტეტი გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტთა შერჩევის მიზნით აცხადებს კონკურსს და ინფორმაციას რეგისტრაციის ვადებისა და პირობების შესახებ აქვეყნებს საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

3.2. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტმა, რომელსაც სურს, მონაწილეობა მიიღოს გაცვლით პროგრამაში, დადგენილ ვადებში უნდა მიმართოს უნივერსიტეტს;

3.3. გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტი ვალდებულია, ენობრივი კომპეტენციის დადგენის მიზნით, ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდა ინგლისურ/უცხო ენაში;

3.4. გამოცდისაგან თავისუფლდებიან ის კონკურსანტები, რომლებიც სწავლობენ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ან წარმოადგენენ ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების მიხედვით (CEFR) ინგლისური ენის შესაბამისი დონის ფლობის დამადასტურებელ სერტიფიკატს;

3.5. სტუდენტი, რომელიც ინგლისური ენის გამოცდაში მიიღებს დადებით შეფასებას, ვალდებულია, გაიაროს გასაუბრება **(გასაუბრების კრიტერიუმები იხ. დანართ 1-ში)** შესაბამის კომისიასთან, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის შესახებ;

3.6. გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტი ფაკულტეტთან კონსულტაციის საფუძველზე ადგენს პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გასავლელი სასწავლო კურსების ნუსხას;

3.7. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტსა და პარტნიორ უნივერსიტეტს შორის, გაცვლით პროგრამაში მონაწილე თითოეულ სტუდენტის შესახებ ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ: თავად სტუდენტი, პარტნიორი უნივერსიტეტისა და მიმღები უნივერსიტეტის პასუხისმგებელი პირები;

3.8. სტუდენტის მიერ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გავლილი სასაწავლო კურსების აღიარება ხდება ,,მიღებული განათლების აღიარების წესის“ შესაბამისად, კრედიტების აღიარების კომისიის მიერ; კრედიტების აღიარების დოკუმენტი პარტნიორ უნივერსიტეტში მიღებულ იმ დოკუმენტთან ერთად, რომლის საფუძველზეც მოხდა კრედიტების აღიარება, სტუდენტმა უნდა წარადგინოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ამ წესის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

3.9. გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტს არ უჩერდება სტუდენტის სტატუსი;

4. გაცვლით პროგრამაში მონაწილე პარტნიორი უნივერსიტეტის სტუდენტი

4.1. გაცვლით პროგრამაში მონაწილე პარტნიორი უნივერსიტეტის სტუდენტთათვის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი სასწავლო პროცესის დაწყებამდე გონივრული ვადით ადრე ადგენს რეგისტრაციის ვადებსა და პირობებს;

4.2. ინფორმაცია პარტნიორი უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისათვის ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ეგზავნება პარტნიორ უნივერსიტეტს;

4.3. პარტნიორი უნივერსიტეტი დადგენილ ვადებში აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს წარუდგენს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს;

4.4. გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტთა მიერ დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდეგ ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ:

თავად სტუდენტი, პარტნიორი უნივერსიტეტისა და მიმღები უნივერსიტეტის პასუხისმგებელი პირები;

4.5. გაცვლით პროგრამაში მონაწილე პარტნიორი უნივერსიტეტის სტუდენტი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სწავლას აგრძელებს სწავლების შესაბამის საფეხურზე, რექტორის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე;

4.6. გაცვლით პროგრამაში მონაწილე პარტნიორი უნივერსიტეტის სტუდენტი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს არ ეთვლება სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში;

მუხლი 17. მიღებული განათლების აღიარება

1. პირის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების (კრედიტების) აღიარება ხორციელდება უნივერსიტეტის კრედიტების აღიარების კომისიის მიერ, მიღებული ცოდნის, უნარებისა და ფასეულობების საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის გზით ამავე დებულების შესაბამისი პუნქტებისა და უნივერსიტეტში მოქმედი ,,მიღებული განათლების აღიარების წესის“ მოთხოვნათა დაცვით.

2. კრედიტების აღიარების კომისია უფლებამოსილია, აღიაროს აკადემიური უმაღლესი განათლების ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები სხვა კვალიფიკაციის მიზნებისათვის;

2.1. აღიარებას ექვემდებარება შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის;

2.2. აღიარებას ექვემდებარება იმ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3. პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. უცხოეთში სწავლის პერიოდში (სამეცნიერო ნაშრომის დასრულებამდე) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული კვლევითი კომპონენტების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტი.

მერვე თავი: სტუდენტის უფლება-მოვალეობები

მუხლი 18. სტუდენტის უფლებები:

1. სტუდენტს უფლება აქვს:

1.1. მიიღოს უნივერსიტეტისგან საგანმანათლებლო მომსახურება და ხარისხიანი განათლება;
1.2. მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;
1.3. მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ აქტივობებში;
1.4. თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა რესურსებით;
1.5. ისარგებლოს უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისებით;
1.6. დააფუძნოს ან გაწევრიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში/კლუბებში საკუთარი ინტერესების შესაბამისად;
1.7. მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში;
1.8. პერიოდულად შეაფასოს აკადემიური პროგრამების, სასწავლო პროცესის, აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სხვადასხვა სერვისი;
1.9. ღიად და თავისუფლად გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები და შეხედბულებები;
1.10. მიმართოს სტუდენტური ომბუდსმენის ოფისს სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების საკითხებზე მომსახურების მისაღებად;
1.11. აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, წარმომადგენლობით საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოში უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციების შესაბამისად.
1.12. მონაწილეობა მიიღოს აკრედიტაცია/ავტორიზაციის თვითშეფასების ჯგუფების მუშაობასა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში;
1.13. ისარგებლოს მობილობის უფლებით დადგენილი წესის შესაბამისად;
1.14. დაწეროს საჩივარი/განცხადება აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოებისა და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით;
1.15. მოითხოვოს საგამოცდო ნაშრომის გაცნობა/აპელაცია და პედაგოგის მხრიდან უკუკავშირი, ასევე ნაშრომის სააპელაციო კომისიისათვის გადაცემა გამოცდების ჩატარების დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვით;
1.16. საქართველოს კანონდმებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ;
1.17. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებითა და ხელშეკრულებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 19. სტუდენტის მოვალეობები:

1.სტუდენტი ვალდებულია:

1.1. მუდმივად ეცნობოდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნებულ ინფორმაციებს და ასევე, შიდა სამართლებრივ აქტებს, რომლებიც სასწავლო პროცესსა და სწავლის საფასურთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება.

1.2. უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში და წესით გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია (გადაიხადოს სწავლის საფასური) და აკადემიური რეგისტრაცია;

1.3. უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლა სავალდებულოა.

1.4. უზრუნველყოს უნივერსიტეტის კუთვნილი ქონების, მოწყობილობებისა და მასალების სათანადოდ მოპყრობა და დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ გატარდება უნივერსიტეტის ქცევის (ეთიკის) კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული ღონისძიებები. უნივერსიტეტისთვის მიყენებული ზიანის გამო სტუდენტს დაეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

1.5. სრულად გადაიხადოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასური უნივერსიტეტის მიერ გაწეული სემესტრული მომსახურის მიხედვით;

1.6. არ დააზიანოს უნივერსიტეტის შიდა ელექტრონული პროგრამები;

1.7. არ ჩაიდინოს აკადემიური სიყალბე/პლაგიატი;

1.8. აკადემიური სიყალბის დაფიქსირების შემთხვევაში, აცნობოს შესაბამის სტრუქტურას.

1.9. წარუდგინოს უნივერსიტეტს უტყუარი ინფორმაცია, პირადი და საკონტაქტო მონაცემები, ასევე უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და მათი ცვლილების შემთხვევაში აცნობოს უნივერსიტეტს/განაახლოს პირადი ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში;

1.10. უზრუნველყოს თანამოსაუბრეებისადმი პატივისცემით მოპყრობა და საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისას დაიცვას ეთიკის ნორმები;

1.11. დაიცვას უნივერსიტეტის ,,ქცევის (ეთიკის) კოდექსით'', ,,პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესით'', წინამდებარე წესით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები/წესები და ასევე, უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები;

მეცხრე თავი: საგანამანათლებლო პროგრამის დასრულება

მუხლი 20. პროგრამის დასრულება და კვალიფიკაციის მინიჭება

1. სტუდენტის მიერ შესაბამისი საფეხურის კომპეტენციების გამომუშავების და საბაკალავრო/ ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო/ სამაგისტრო/ სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის დაგროვების/კვლევითი კომპონენტის შესრულების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.
2. საბაკალავრო/ ერთსაფეხურიანი უმაღლესი/ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო/ სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებისთვის კვალიფიკაციის მინიჭებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას ახორციელებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო და კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურები განისაზღვრება ,,დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტითა'' და „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით".
3. ფაკულტეტის საბჭოს/სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც გამოსცემს ბრძანებას შესაბამისი სტუდენტისთვის დიპლომის გაცემის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს/სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც ფორმდება შესაბამისი ოქმით, არის რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების განუყოფელი ნაწილი.
4. კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება შესაბამისი საფეხურის დიპლომით, რომელიც დამტკიცებულია რექტორის მიერ და შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან.
5. საბაკალავრო/ერთსაფეხურიანი/სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულს, რომლის GPA არის არანაკლებ 3.5-ისა გადაეცემა დიპლომი - წარჩინებით.
6. დიპლომს დაერთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №149 ბრძანების შესაბამისად მომზადებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის დანართის ფორმა.
7. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა მიერ პროგრამის დასრულების შესახებ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება წარედგინება რექტორს, რომელიც მის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას კურსდამთავრებულთათვის მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატების მომზადებისა და გაცემის შესახებ.
8. სერტიფიკატს თან ერთვის სერტიფიკატის დანართი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N142/ნ ბრძანების შესაბამისად.

9. კურსდამთავრებულს დიპლომი/მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი გადაეცემა დანართთან ერთად, თუ დასტურდება, რომ მას არ აქვს უნივერსიტეტის წინაშე ფინანსური ან სხვა სახის ვალდებულება.

მეათე თავი

მუხლი 21. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. დამატებითი სემესტრის სტუდენტებს, რომლებსაც ამოწურული აქვთ ოთხი დამატებითი სემესტრი, უფლება აქვთ 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან ისარგებლონ კიდევ ერთი დამატებითი სემესტრით, მაგრამ, საერთო ჯამში, არაუმეტეს დამატებითი რვა სემესტრისა - ბაკალავრიატში, ექვსი სემესტრისა მაგისტრატურასა და დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე და ოთხი სემესტრისა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე;
2. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს, მასში ცვლილებები შეაქვს და ძალადაკარგულად აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტი/ნორმა, რომელიც წინამდებარე დებულებისგან განსხვავებულად არეგულირებს საკითხებს.

რექტორის 2025 წლის 16 დეკემბრის №30/01-01 ბრძანება

დანართი №1

გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები (მაქსიმალური ქულა - 5)	
ქულა	**მოტივაცია (მაქსიმალური ქულა - 3)**
3	სტუდენტს სრულად აქვს გააზრებული გაცვლით პროგრამაში/საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მნიშვნელობა მისი პროფესიული, აკადემიური და პიროვნული განვითარების ჭრილში; საუბარი არგუმენტირებული და დამაჯერებელია
2	სტუდენტს გაცნობიერებული აქვს გაცვლით პროგრამაში/საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მნიშვნელობა და შედეგები, აკადემიური/კარიერული განვითარებისათვის ზოგად ჭრილში, თუმცა ვერ აკონკრეტებს, რა გავლენას იქონიებს პირადად მასზე და მის პიროვნულ განვითარებაზე
1	სტუდენტს არ აქვს ნათლად გაცნობიერებული გაცვლით პროგრამაში/საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მნიშვნელობა აკადემიური/კარიერული განვითარებისთვის, მიაჩნია, რომ გაცვლით პროგამაში მონაწილეობა ძირითადად გავლენას იქონიებს მხოლოდ მის პიროვნულ განვითარებაზე;
0	სტუდენტი ვერ აცნობიერებს ან ვერ ასაბუთებს გაცვლით პროგრამაში/საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მნიშვნელობას და მის შედეგებს;
ქულა	**მზაობა (მაქსიმალური ქულა - 2)**
2	სტუდენტი საფუძვლიანად იცნობს პროგრამას/სასწავლო კურსებს, რომელიც/რომლებიც სურს, გაიაროს გაცვლითი პროგრამის/საერთაშორისო მობილობის ფარგლებში და გააზრებული აქვს პროგრამით/სასწავლო კურსებით გათვალისწინებული შედეგების მნიშვნელობა; ასევე, გაცნობიერებული აქვს უცხო გარემოში ცხოვრებისა და სწავლის სირთულეები და გამოწვევები;
1	სტუდენტი იცნობს პროგრამას/სასწავლო კურსებს, თუმცა არ აქვს ბოლომდე ჩამოყალიბებული, რომელი კურსების გავლა და რა შედეგების მიაღწევა სურს; ასევე არ აქვს სრულად გაცნობიერებული უცხო გარემოში ცხოვრებისა და სწავლის სირთულეები და გამოწვევები;
0	სტუდენტი არ იცნობს პროგრამას და ვერ აცნობიერებს უცხო გარემოში ცხოვრებისა და სწავლის სირთულეებს;